

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევა პრობაციონერებთან

საქართველოს პროკურატურა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

2017 წელი

სარჩევი

I. შესავალი	3
II. კვლევის მეთოდოლოგია	4
ა) კვლევის დიზაინისა და კითხვარის შემუშავება.....	4
ბ) სამიზნე ჯგუფის მოცულობის დადგენა.....	5
გ) გამოკითხვა (მასალის შეგროვება).....	5
დ) მონაცემთა დამუშავება და ანალიზი.....	6
ე) კვლევის დემოგრაფია.....	6
ვ) რაოდენობრივი კვლევის შეზღუდვები	7
III. ანალიზი	9
3.1. კვლევის დემოგრაფია.....	9
3.2 ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების ასაკი.....	12
3.3 პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება.....	15
3.4 ნარკოტიკული საშუალების მოხმარება	19
3.5. პირველად მოხმარებისას ნარკოტიკული საშუალების მოპოვების სირთულე	24
3.6 ინფორმირებულობა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს.....	31
3.7. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მოტივები.....	34
3.8. ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორები.....	37
ა) ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების ადგილი	37
ბ) ვისთან ერთად მოიხმარეს პირველად ნარკოტიკული საშუალება	38
გ) ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების გადაწყვეტილება.....	39
დ) საქმიანობა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს	40
ე) შემოსავალი ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს.....	41
ვ) ოჯახური მდგომარეობა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს..	44
ზ) თავისუფალი დროის მართვა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს.....	47
თ) ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ხელშემწყობი ფაქტორები	48
VII. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შედეგები	49

VIII. კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება	51
IX. პრევენციული ღონისძიებები	54

I. შესავალი

2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევა პრობაციონერებთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1163-მა რესპონდენტმა თბილისიდან და რეგიონებიდან. კვლევის რესპონდენტებს წარმოადგენენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) მსჯავრდებული პრობაციონერები.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი ეყრდნობა რაოდენობრივი კვლევის ანგარიშს, რომელიც იძლევა დეტალურ ინფორმაციას ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის ნასამართლეს სრულწლოვანი პრობაციონერების შესახებ. კვლევა უკავშირდება შემდეგი საკითხების შესწავლას:

- ✓ იმ ფაქტორებისა და მოტივების დადგენა, რომლებმაც ხელი შეუწყო კვლევაში ჩართული სამიზნე ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებისადმი ინტერესისა და დამოკიდებულების;
- ✓ ოჯახის, სოციალური გარემოს, ცხოვრების წესის ზეგავლენა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე;
- ✓ ნარკოტიკულ საშუალებაზე დამოკიდებულების ფაქტორების განსაზღვრა.

კვლევის მიზანია გაანალიზდეს ის ტენდენციები, რამაც ხელი შეუწყო კვლევაში ჩართულ სამიზნე ჯგუფს ნარკოტიკული საშუალების მიღებისაკენ; განისაზღვროს ის ასაკი, როდესაც სამიზნე ჯგუფმა პირველად მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება; დაადგინოს, რომელი ნარკოტიკული საშუალება მოიხმარეს მათ თავდაპირველად და

საშუალოდ რა პერიოდია საჭირო ნარკოტიკული საშუალების გასინჯვიდან მასზე დამოკიდებულების ჩამოყალიბებამდე.

კვლევის ანგარიში მნიშვნელოვანი და ღირებული დოკუმენტია წამალდამოკიდებულების გამომწვევი ტენდენციების ანალიზისა და ამ მიმართულებით შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისათვის. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია საქართველოს პროკურატურის მიერ გამოყენებული იქნება სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების ეფექტურად დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. კვლევის შედეგები, ასევე, დაეხმარება შესაბამის საჯარო სამსახურებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს სამომავლო პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებაში.

II. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

ა) კვლევის დიზაინისა და კითხვარის შემუშავება

პრობაციონერთან ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევისათვის შემუშავდა კვლევის დიზაინი, სადაც განისაზღვრა კვლევის მიზანი, ამოცანები და შეირჩა კვლევის მეთოდი.

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, შემუშავდა კითხვარი (ანკეტა). კითხვარის პირველი ნაწილი მოიცავს დემოგრაფიულ ბლოკს, მეორე ნაწილი კი საშუალებას იძლევა შესწავლილი იქნეს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციები, მასზე მოქმედი გარემო-ფაქტორები და მოტივები. კითხვარი, დემოგრაფიული ბლოკის გარდა, მოიცავს 29 შეკითხვას თავისი

ქვეკითხვებით. კითხვები, ძირითადად, დახურული ან ნახევრად დახურული ტიპისაა. კითხვარში გამოყენებულია ლაიკერტის ტიპის ხუთბალიანი სკალა.

ბ) სამიზნე ჯგუფის მოცულობის დადგენა

კვლევის შერჩევა მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით ნასამართლევ პრობაციონერებს. კვლევის შერჩევის მეთოდს წარმოადგენს აღწერა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა აღნიშნული მუხლით ნასამართლევი პრობაციონერების მაქსიმალური რაოდენობა საქართველოს მასშტაბით. კვლევის მიმდინარეობისას საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ნასამართლევი 1338 პრობაციონერი იყო, რომელთაგან გამოიკითხა 1163 მათგანი.

გ) გამოკითხვა (მასალის შეგროვება)

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს დახმარებით. კვლევაში ინტერვიუებად ჩართული იყვნენ პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და პრობაციის ოფიცრები. ასევე, თბილისში, ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში ინტერვიუებად ჩართული იყვნენ საქართველოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის სამსახურის კოორდინატორები. მონაცემების შეგროვებამდე ინტერვიუებმა გაიარეს სპეციალურად მათთვის მომზადებული ტრენინგი, რომლის ფარგლებში გაეცნენ ინტერვიუს ჩატარების ტექნიკებს და დეტალურად განიხილეს კითხვარი. კვლევაში ჩართული ინტერვიუები ინფორმირებული იყვნენ კვლევის საკითხების მაღალი სენსიტიურობის, სამიზნე ჯგუფების მოწყვლადობისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობის მნიშვნელობის შესახებ. გამოკითხვა მიმდინარეობდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფისებში.

კვლევის ინსტრუმენტი შემუშავდა 2016 წლის მაისში. კვლევის პილოტაჟი ჩატარდა 2016 წლის 23 მაისიდან 27 მაისამდე პერიოდში. სავსე სამუშაოები მიმდინარეობდა 2016 წლის 1 ივნისიდან 15 ივლისამდე დროის მონაკვეთში.

დ) მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

ემპირიული მასალის დამუშავება მოიცავდა მონაცემთა ბაზის ფორმირებას, მონაცემთა შეყვანას, გაწმენდას, კორექტირებასა და სტატისტიკურ ანალიზს, რაც სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის მეშვეობით განხორციელდა. ანალიზისას გამოყენებულია აღწერითი სტატისტიკის ოპერაციები, მათ შორის სიხშირული განაწილებები და კროსტაბულაცია.

ე) კვლევის დემოგრაფია

სავსე სამუშაოები (გამოკითხვა) ჩატარდა თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში, სადაც განთავსებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფისები და პრობაციონერები ახორციელებენ სავალდებულო ვიზიტებს.

რესპონდენტთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

	რაოდენობა	%
თბილისი	519	44.6
იმერეთი	151	13.0
აჭარა	162	13.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	117	10.1

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევა
პრობაციონერებთან

ქვემო ქართლი	81	7.0
კახეთი	65	5.6
შიდა ქართლი	51	4.4
სამცხე-ჯავახეთი	17	1.5
სულ	1163	100

მიღებული მონაცემები გაანალიზდა მთლიანად საქართველოს მასშტაბით. ცალკეული რეგიონისა და სქესის მიხედვით მონაცემთა გაანალიზება არაკორექტული იქნებოდა რესპონდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე. ზოგიერთ შემთხვევაში მონაცემები გაანალიზდა თბილისისა და დანარჩენი რეგიონების ურთიერთშედარების საფუძველზე, რაც იძლევა თბილისისა და რეგიონებისთვის დამახასიათებელი ტენდენციებისა და მათ შორის განსხვავებების გამოვლენის შესაძლებლობას.

ვ) რაოდენობრივი კვლევის შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა კარგად იყო დაგეგმილი და ორგანიზებული, კვლევის ჩატარებას რამდენიმე შეზღუდვა ახლდა თან:

- ✓ კვლევის ჩატარების ადგილი - კვლევა ჩატარდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფისებში, სადაც პრობაციონერები ახორციელებენ სავალდებულო ვიზიტებს და ასევე, ჩართული არიან სხვადასხვა პროგრამაში. საკვლევი თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა, ინტერვიუები ჩატარებულიყო ნეიტრალურ ადგილზე;

- ✓ კვლევაში ჩართული ინტერვიუერები - კვლევის შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კვლევაში ჩართული ინტერვიუერები არ წარმოადგენდნენ პროფესიონალ ინტერვიუერებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ კვლევის დაწყებამდე კვლევის ინტერვიუერებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია ინტერვიუს ჩატარების ტექნიკებისა და კითხვართან დაკავშირებული საკითხების შესახებ;
- ✓ ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ძირითადად, რეგიონებში, ინტერვიუერები იცნობდნენ კვლევის რესპონდენტებს, რამდენადაც რესპონდენტები მათი ბენეფიციარები არიან, რაც, ასევე, კვლევის შეზღუდვად შეიძლება იქნეს მიჩნეული;
- ✓ კვლევის ფარგლებში მხოლოდ რაოდენობრივი კვლევის ჩატარება მოხერხდა, თუმცა, იგეგმება წინამდებარე მონაცემების გათვალისწინებით თვისებრივი კვლევის ჩატარება.

ჩამოთვლილი შეზღუდვების მიუხედავად, ცხადია, კვლევის შედეგად მიღებული იქნა მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია პრობაციონერებთან ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების შესახებ, რომელთა გათვალისწინება სასურველია ამ მიმართულებით დაგეგმილი ნებისმიერი აქტივობისა და პროექტის განხორციელებისას.


III. ანალიზი

3.1. კვლევის დემოგრაფია

საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გასამართლებულ პრობაციონერთა უმრავლესობას (99,7%) მამაკაცები შეადგენენ. გამოიკითხა მხოლოდ ოთხი ქალი რესპონდენტი.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს სრულწლოვანმა პრობაციონერებმა. მათი ასაკი შემდეგ ინტერვალშია მოქცეული - 18-67 წელი. რესპონდენტთა უმრავლესობა - 41,8% (n=479) 25-34 ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნება, 34,1% (n=397) 35-44 წლისაა, მცირეა 45-54 (12,3%, n=143), 18-24 (9,0%, n=103) და 55 წელზე მეტი ასაკის (2,1%, n=25) რესპონდენტების რაოდენობა. რესპონდენტთა საშუალო ასაკია 35 წელი, სტანდარტული გადახრით 8,4. ყველაზე ხშირად განმეორებული ასაკი 34 წელია.

რესპონდენტთა ასაკი




პრობაციონერთა უმრავლესობა 93,7% (n=1089) ეთნიკურად ქართველია. რესპონდენტთა 2,5% (n=29) არის ეთნიკურად სომეხი, ხოლო 1,5% (n=18) - აზერბაიჯანელი. მცირე რაოდენობით გვხვდება ეთნიკურად რუსი (0,9%, n=11), ოსი

(0,4%, n=5), იეზიდო (0,4%, n=4), ებრაელი (0,2%,n=2), ქურთი (0,1%, n=1), ბერძენი (0,1%, n=1) და უკრაინელი (0,1%, n=1).


პრობაციონერთა 53,6% (n=597) დაოჯახებულია, 34,5% (n=401) არასოდეს ყოფილა დაქორწინებული, 11,3% (n=131) განქორწინებულია, ხოლო 0,6% (n=7) - ქვრივი.

რესპონდენტთა ოჯახური მდგომარეობა




რესპონდენტთა უმრავლესობას (51,6%, n=600) საშუალო განათლება აქვს მიღებული, 31,6%-ს (n=367) - უმაღლესი, 6,4%-ს (n=74) - არასრული უმაღლესი, 5,9%-ს (n=69) - პროფესიული, ხოლო 4,6%-ს (n=53) - არასრული საშუალო.

რესპონდენტთა განათლება



პრობაციონერთა ნახევარზე მეტი - 55,7% (n=645) უმუშევარია, 24,5% (n=284) თვითდასაქმებულია, 18,2% (n=211) დასაქმებულია კერძო სექტორში, 0,9% (n=11) სტუდენტია, 0,4% (n=5) - პენსიონერი, ხოლო 0,2% (n=2) - სკოლის მოსწავლე.

რესპონდენტთა დასაქმება




3.2 ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების ასაკი

იმ ასაკის დადგენა, როდესაც გამოკითხულმა პირებმა პირველად მოიხმარეს ნარკოტიკული საშუალება, წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

რესპონდენტთა უმრავლესობა - 42,6% (n=487) ამბობს, რომ პირველად ნარკოტიკული საშუალება 18-24 წლის ასაკში მოიხმარა. გამოკითხულთა 34,4% (n=394) ამბობს, რომ პირველად ნარკოტიკული საშუალება გასინჯა მაშინ, როცა არასრულწლოვანი იყო (10-17 წლის). 18,7%-ის (n=214) განცხადებით, ნარკოტიკული საშუალება პირველად მოიხმარა 25-34 წლის ასაკში, 3,5% (n=40) ამბობს, რომ 35-44 წლის ასაკში გასინჯა პირველად ნარკოტიკული საშუალება, ხოლო რესპონდენტთა 0,8% (n=9) 45 წელზე მეტის იყო, როცა პირველად მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება.


საშუალო ასაკი, როცა რესპონდენტებმა პირველად მოიხმარეს ნარკოტიკული საშუალება არის 21 წელი სტანდარტული გადახრით 6,1. მინიმალური ასაკია 10 წელი, მაქსიმალური კი - 56. ყველაზე ხშირად განმეორებული ასაკია 18 წელი.

ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების ასაკი



განსაკუთრებით საინტერესოა დეტალური ინფორმაცია იმ რესპონდენტთა შესახებ, რომლებმაც ნარკოტიკული საშუალება პირველად 21 წლამდე ასაკში მოიხმარეს, რამდენადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ვრცელდება 21 წლამდე ასაკის პირებზე. იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, ვინც დაასახელა, რომ პირველად 10-20 წლის ასაკში მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს იყო 18 წლის (11,8%, n=137), 16 წლის (9,7%, n=113), 20 წლის (8,6%, n=100) და 17 წლის (8,4%, n=98).


ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების ასაკი /10-დან 21 წლამდე ასაკი/



თბილისში, რეგიონებთან შედარებით, დაბალია ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების ასაკობრივი ზღვარი. პირველ ასაკობრივ კატეგორიაში (10-17 წელი) თბილისში რესპონდენტთა 42,8% (n=220) მოხვდა, რეგიონებში კი - 27,6% (n=74). ამდენად, თბილისში რესპონდენტებმა უფრო ადრეულ ასაკში დაიწყეს ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, ვიდრე რეგიონებში. პირველად მოხმარების სხვა ასაკობრივ კატეგორიებში რესპონდენტთა რაოდენობა ჭარბობს რეგიონებში.

დედაქალაქში ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების საშუალო ასაკი 20 წელია, სტანდარტული გადახრით 5,9. მინიმალური ასაკია 10 წელი, მაქსიმალური კი - 56 წელი. ყველაზე ხშირად განმეორებული ასაკი 16 წელია. რეგიონებში ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების საშუალო ასაკია 21 წელი სტანდარტული გადახრით 6,1. მინიმალური ასაკია 11 წელი, მაქსიმალური - 56 წელი. ყველაზე ხშირად განმეორებული ასაკი კი 18 წელია.

ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების ასაკი




აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კვლევის რესპონდენტებში თბილისში, რეგიონებთან შედარებით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ტენდენცია უფრო დაბალი ასაკიდან შეინიშნება.

3.3 პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება

მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რომელი ნარკოტიკული საშუალება მოიხმარეს პირველად რესპონდენტებმა. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა უმრავლესობამ (72,9%, n=845) პირველ ნარკოტიკულ საშუალებად მარიხუანა მოიხმარა. რესპონდენტთა 11% (n=127) ამბობს, რომ პირველად ოპიუმი გასინჯა, ხოლო 7,2%-ის (n=83) განცხადებით, პირველ ნარკოტიკულ საშუალებად მოიხმარა ჰეროინი. მცირე პროცენტული განაწილებით გვხვდება სხვა ნარკოტიკული საშუალება.


პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება



იმ რესპონდენტთა 56,6% (n=478), ვინც მარიხუანა მოიხმარა, ამბობს, რომ შემდეგ გასინჯა უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალება, ხოლო 43,4% (n=363) აცხადებს, რომ არ მიუღია სხვა ნარკოტიკული საშუალება და მოიხმარა მხოლოდ მარიხუანა.

იმ რესპონდენტთა 36% (n=174), ვინც პირველად მარიხუანას მოხმარების შემდეგ უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალება მოიხმარა, ამბობს, რომ შემდგომ მოიხმარა ოპიუმი, 19,3%-მა (n=93) მოიხმარა ჰეროინი, 9,3%-მა (n=45) - ბუპრენორფინი (სუბუტექსი) და 8,7%-მა (n=42) - მეტამფეტამინი. შედარებით მცირე პროცენტული განაწილებით გვხვდება ფსიქოაქტიური ნივთიერება „ბიო“ (5,3%, n=26), მდმა „ექსტაზი“ (5%, n=24), მორფინი (4,6%, n=22), ამფეტამინი (3,9%, n=19), ჰაშიში (3,1%,n=15), კოკაინი (2,1%, n=10), კოდეინი (1%, n=5) და მეთადონი (0,6%, n=3).

პირველად მარიხუანას მოხმარებელთა მიერ შემდგომ მოხმარებული უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალება




პირველად მოხმარების ყველა ასაკობრივ კატეგორიაში პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებაში ჭარბობს მარიხუანა გარდა იმ კატეგორიისა, სადაც ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების ასაკი 45 და მეტი წელია.

პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება

/პირველად მოხმარების ასაკის მიხედვით/

■ მარიხუანა ■ ოპიუმი ■ ჰეროინი ■ სხვა ნარკოტიკული საშუალება




1

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, რეგიონებში პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებაში დედაქალაქთან შედარებით ჭარბობს მარიხუანა, ხოლო სხვა პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება თბილისში უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება, ვიდრე რეგიონებში.


¹ ნარკოტიკული საშუალებები დაჯგუფებულია 4 კატეგორიად ყველაზე გავრცელებული პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალების რანჟირების მიხედვით (მარიხუანა (72,9%), ოპიუმი (11%), ჰეროინი (7,2%) და მეოთხე კატეგორია, სადაც გაერთიანებულია ყველა სხვა პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება).

პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება ტერიტორიის მიხედვით



რესპონდენტთა 72,7% (n=846) ამბობს, რომ პირველად ნარკოტიკული საშუალება მოწვევის გზით მიიღო. ეს მაჩვენებელი ბუნებრივია, რადგან რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანაა (72,9%). გამოკითხულ პრობაციონერთა 20,3% (n=236) აცხადებს, რომ პირველად ინექციის გზით მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რესპონდენტთა შედარებით მცირე რაოდენობამ კი აბის (2,7%, n=31), სასუნთქი გზების საშუალებით (2,1%, n=25) და სითხის დაღვევის სახით (2,1%, n=24).


ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების მეთოდი



3.4 ნარკოტიკული საშუალების მოხმარება


შეკითხვაზე, თუ პირველად მოხმარების შემდეგ რომელ ნარკოტიკულ საშუალებას მოიხმარდნენ პრობაციონერები, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა - პასუხების ყველაზე მეტი რაოდენობა - 23% (n=825) არის მარიხუანა, ოპიუმი (12,2%, n=440), ჰეროინი (11,2%, n=402) და სუბუტექსი (9,9%, n=356). ყველაზე მცირე რაოდენობით კი დასახელდა კოდეინი (0,2%, n=6).

ყველაზე ხშირად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება




გამოკითხულ პრობაციონერთა ნაწილი აცხადებს, რომ ნარკოტიკული საშუალება მხოლოდ რამდენჯერმე აქვს მოხმარებული, თუმცა მასზე დამოკიდებული არასოდეს ყოფილა. შეკითხვაზე, თუ რა პერიოდის შემდეგ გაუჩნდათ მოთხოვნილება ნარკოტიკული საშუალების მიმართ, გამოკითხულთა 51,8% (n=594) აცხადებს, რომ არასოდეს ყოფილა დამოკიდებული ნარკოტიკულ საშუალებაზე. ასევე, გამოკითხულთა 59,8% (n=686) ამბობს, რომ არ განუცდია ნარკოტიკული შიმშილი, ე.წ. „ლომკა“. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პრობაციონერთა თითქმის ნახევარი არ არის ნარკოტიკულ საშუალებაზე დამოკიდებული, თუმცა, რა თქმა უნდა, ერთხელ მაინც მოუხმარია ნარკოტიკული საშუალება.

ნარკოტიკულ საშუალებაზე დამოკიდებულების ჩამოყალიბება



ნარკოტიკული შიმშილი




იმ რესპონდენტთა 59,2% (n=492), ვინც პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებად მარიხუანა დაასახელა, აცხადებს, რომ არ გამხდარა დამოკიდებული

ნარკოტიკულ საშუალებაზე, ხოლო 40,8%-ის (n=339) განცხადებით, გახდა დამოკიდებული ნარკოტიკულ საშუალებაზე.


ნარკოტიკულ საშუალებაზე დამოკიდებულების ჩამოყალიბება

/მარიხუანას მოხმარებლები/




რესპონდენტთაგან ყოველი მეხუთე (20,3%, n=206) ამბობს, რომ ნარკოტიკული საშუალების მიღების მოთხოვნილება პირველივე მოხმარების შემდეგ გაუჩნდა, 36,8% (n=373) აცხადებს, რომ ასეთი მოთხოვნილება 2-10 მოხმარების შემდეგ ჰქონდა, 20% (n=203) აცხადებს, რომ 11 და მეტი მოხმარების შემდეგ, ხოლო 22,9% (n=232) ამბობს, რომ არ გასჩენია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მოთხოვნილება.

ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარების მოთხოვნილების გაჩენა



იმ რესპონდენტთა 25,1% (n=215), რომელიც ამბობს, რომ დამოკიდებული იყო ნარკოტიკულ საშუალებაზე, აღნიშნავს, რომ დამოკიდებული იყო ჰეროინზე, 23,2% (n=198) დამოკიდებული იყო ოპიუმზე, 19,8% (n=169) - მარიხუანაზე, 11,1% (n=95) კი სუბუტექსზე. როგორც აღმოჩნდა, ოპიუმი და ჰეროინი ყველაზე მეტად გავრცელებული ძლიერი ნარკოტიკული საშუალებებია, იმის გათვალისწინებითაც, რომ რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილის განცხადებით თავდაპირველად სწორედ ეს ნარკოტიკული საშუალება მოიხმარა. არც ისე დაბალია მარიხუანაზე დამოკიდებულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი (19.8%).


ნარკოტიკული საშუალება, რომელზეც იყვნენ დამოკიდებულნი



3.5. პირველად მოხმარებისას ნარკოტიკული საშუალების მოპოვების სირთულე


რესპონდენტთა უმრავლესობის განცხადებით, (89,1%, n=1019) მარტივად მოიპოვეს ნარკოტიკული საშუალება პირველად მოხმარებისას.

პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალების მოპოვების სირთულე




რესპონდენტთა 86%-ზე მეტი ამბობს, რომ მარიხუანა, ოპიუმი და ჰეროინი (კვლევის შედეგად გამოვლენილი ყველაზე ხშირად პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალებები) მარტივად იქნა მოპოვებული.

პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალების მოპოვების სირთულე



დედაქალაქსა და რეგიონებში რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მარტივად მოიპოვეს ნარკოტიკული საშუალება. თუმცა, პროცენტული განაწილებით, თბილისში ასეთ რესპონდენტთა უფრო მეტი რაოდენობა გვხვდება, ვიდრე რეგიონებში.


პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალების მოპოვების სირთულე



თბილისში, რესპონდენტთა განცხადებით, მარტივად მოიპოვეს ნარკოტიკული საშუალება პირველად მოხმარებისას.


პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალების მოპოვების სირთულე

/თბილისი/




რეგიონებში, დედაქალაქთან შედარებით, მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც აღნიშნა, რომ პირველად მოხმარებისას შედარებით რთულად მოიპოვა ნარკოტიკული საშუალება. მიუხედავად ამისა, ყველა ნარკოტიკული საშუალების შემთხვევაში აქაც უფრო მარტივად მოხდა ნარკოტიკული საშუალების მოპოვება.

პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალების მოპოვების სირთულე /რეგიონები/




რესპონდენტთა უმრავლესობა (75,6%, n=875) აცხადებს, რომ არ გადაუხდია ფულადი თანხა ნარკოტიკულ საშუალებაში პირველად მოხმარებისას. ასეთი მაღალი მაჩვენებელი ხსნის, ასევე იმ ფაქტსაც, რომ რესპონდენტთა უმრავლესობის თქმით (89,1% n=1019), პირველად ნარკოტიკული საშუალება მარტივად მოიპოვეს.

პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებაში თანხის გადახდის ფაქტი




იმ რესპონდენტთა 85,9% (n=721), ვინც პირველად მარიხუანა მოიხმარა, ამბობს, რომ არ გადაუხდია თანხა პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებაში. პირველ ნარკოტიკულ საშუალებად ოპიუმის მოხმარებელთა უმრავლესობაც 54,3% (n=69) ამბობს, რომ არ გადაუხდია თანხა. გამონაკლისს წარმოადგენს ჰეროინის შემთხვევა, რომელზეც რესპონდენტთა 65,5% (n=55) აცხადებს, რომ გადაიხადა თანხა მისი მოპოვებისას.

პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებაში თანხის გადახდის ფაქტი




როგორც დედაქალაქში, ასევე, რეგიონებში, რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ არ გადაუხდია თანხა პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებაში. თუმცა, ამ შემთხვევაში, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გვხვდება დედაქალაქისა და რეგიონების პროცენტულ განაწილებებს შორის. დედაქალაქში რესპონდენტთა 68,9% (n=355) ამბობს, რომ არ გადაუხდია თანხა ნარკოტიკულ საშუალებაში პირველად მოხმარებისას, მაშინ როდესაც რეგიონებში 81% (n=520) აცხადებს იმავეს.

**პირველად მოხმარებულ
 ნარკოტიკულ საშუალებაში თანხის
 გადახდის ფაქტი**
 /ტერიტორიის მიხედვით/




თბილისში რესპონდენტთა უმრავლესობას არ გადაუხდია თანხა პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებაში. გამონაკლისს წარმოადგენს ჰეროინის შემთხვევა, რომელზეც რესპონდენტთა 60,4%-ი (n=29) ამბობს, რომ გადაიხადა თანხა მისი მოპოვებისას.

**პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ
 საშუალებაში თანხის გადახდის ფაქტი**
 /თბილისი/



რეგიონებშიც უფრო მეტია იმ პრობაციონერთა რაოდენობა, ვინც აცხადებს, რომ არ გადაუხდია თანხა პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებაში. თუმცა, აქაც, დედაქალაქის მსგავსად, იმ რესპონდენტთა 72,2%-ის (n=26) განცხადებით, ვინც პირველ მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებად ჰეროინი დაასახელა, აცხადებს, რომ გადაიხადა თანხა მისი მოპოვებისას.

პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებაში თანხის გადახდის ფაქტი /რეგიონები/




3.6 ინფორმირებულობა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს

რესპონდენტთა უმრავლესობას ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ნარკოტიკული საშუალება საზიანოა ჯანმრთელობისთვის, იწვევს მიჩვევას და მისი მოხმარება ისჯება კანონით. თუმცა, მაინც საკმაოდ მაღალია იმ რესპონდენტთა პროცენტული წილი ვინც ამბობს, რომ არ

ჰქონდა გააზრებული ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარებისას. მათგან, ვინც ამბობს, რომ არ ჰქონდა გააზრებული ნარკოტიკული საშუალების ჯანმრთელობისთვის მავნებლობა, უმრავლესობას წარმოადგენენ ის რესპონდენტები, რომლებმაც ნარკოტიკული საშუალება 10-17 (39,7%) და 18-24 (41,6%) წლის ასაკში მოიხმარეს. იგივე გამოვლინდა ნარკოტიკულ საშუალებაზე მიჩვევის შესახებ ინფორმაციისა (10-17 ასაკობრივი კატეგორია (37%), 18-24 ასაკობრივი კატეგორია (42,2%)) და კანონით დასჯადობის შესახებ ინფორმაციის შემთხვევაში (10-17 ასაკობრივი კატეგორია (42,2%), 18-24 ასაკობრივი კატეგორია 38,9%).


ინფორმირებულობა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს




რეგიონებში, ისევე როგორც დედაქალაქში, რესპონდენტთა უმრავლესობას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ნარკოტიკული საშუალება საზიანოა ჯანმრთელობისთვის, იწვევს მიჩვევას და ისჯება კანონით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონებში იმ რესპონდენტების ხვედრითი წილი უფრო დიდია, რომლებსაც არ ჰქონდათ

გააზრებული ინფორმაცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. დედაქალაქში, ამ მხრივ, ინფორმირებულობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე რეგიონებში.

ინფორმირებულობა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს /თბილისი/




ინფორმირებულობა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს /რეგიონები/



3.7. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მოტივები

მნიშვნელოვანია იმ მოტივების გაანალიზება, რამაც, რესპონდენტთა თქმით, განაპირობა მათ მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარება. კვლევის შედეგების მიხედვით, პირველ მოტივად დასახელდა ცნობისმოყვარეობა (32,9%, n=814), მეორე მოტივად - გართობა (22,5%, n=556). ასევე, მნიშვნელოვანი მოტივები აღმოჩნდა უარყოფითი განცდების განეიტრალება, დეპრესიის დაძლევა (9,8%, n=242), ავტორიტეტული თანატოლების ან უფროსების მიბაძვა (7,7%, n=191), მეგობრების წრეში დამკვიდრების სურვილი (7,1%, n=176), ძლიერი ემოციის განცდის სურვილი (6,9%, n=171), ცხოვრების დაძაბული რიტმი (6,2%, n=154), გარემოსადმი მიმართული საპროტესტო რეაქციები (3,9%, n=97), ჯანმრთელობის მდგომარეობა (2,6%, n=64). მცირე რაოდენობით დასახელდა მუქარა ან სხვა სახის იძულებითი ქმედება (0,2%, n=6) და ალკოჰოლის მიღება (0,1%, n=2).

ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების მოტივი




საინტერესოა პირველად მოხმარების მოტივის გაანალიზება პირველად მოხმარების ასაკთან მიმართებით. როგორც ჩანს, ვინც პირველად ნარკოტიკული საშუალება 10-17, 18-24 და 25-34 წლის ასაკში მოიხმარა, მათი მოტივაცია - ცნობისმოყვარეობა, გართობა, ავტორიტეტული თანატოლების ან უფროსების მიზაძვა, მეტად იყო, ვიდრე სხვა მოტივები. ასაკობრივი კატეგორიის ზრდასთან ერთად, ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების მოტივად სახელდება დეპრესიის დაძლევა,

უარყოფითი განცდების განეიტრალება, ცხოვრების დაძაბული რიტმი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების მოტივი

/პირველად მოხმარების ასაკის მიხედვით/

■ 10-17 ■ 18-24 ■ 25-34 ■ 35-44 ■ 45+




3.8. ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორები

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გადაწყვეტილებაზე მრავალმა ფაქტორმა შეიძლება იქონიოს გავლენა. ეს დამოკიდებულია როგორც პოტენციური მომხმარებლის შინაგან მოტივებზე, ასევე, გარემო ფაქტორებზე. სოციალური სივრცე, ოჯახი, სამეზობლო, სამეგობრო წრე, თავისუფალი დროის მართვა და სხვა გარემოებები ხშირად უბიძგებს პირს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ.

ა) ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების ადგილი

რესპონდენტთა დიდი ნაწილი ამბობს, რომ პირველად ნარკოტიკული საშუალება ქუჩაში/უბანში (49,7%, n=553) მოიხმარა. რესპონდენტთა 14,9%-ის (n=167) განცხადებით, პირველად ნარკოტიკული საშუალება დასასვენებლად ყოფნის დროს, საკურორტო ზონაში გასინჯა. 11,5% (n=129) ამბობს, რომ საკუთარ სახლში მოიხმარა პირველად ნარკოტიკული საშუალება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 75,8%, ვინც საკუთარ სახლში მოიხმარა პირველად ნარკოტიკული საშუალება, ამბობს, რომ ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, 20,3% - ცხოვრობდა მარტო, ხოლო მეგობართან ერთად ცხოვრობდა 3,9%. რესპონდენტთა 8,4% (n=94) აცხადებს, რომ პირველად ნარკოტიკული საშუალება მეგობრის სახლში გასინჯა, 6%-ის (n=67) თქმით კი კლუბში ან მსგავსი ტიპის გასართობ დაწესებულებაში. მცირე პროცენტული განაწილებით გვხვდებიან რესპონდენტები, ვინც პირველად ნარკოტიკული საშუალება საზღვარგარეთ, სკოლაში, უნივერსიტეტში, ქორწილში, დაბადების დღეზე, საავადმყოფოში ან სამსახურში მოიხმარა.

ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების ადგილი




ბ) ვისთან ერთად მოიხმარეს პირველად ნარკოტიკული საშუალება

რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54,8%, n=614) ამბობს, რომ მეგობართან ერთად მოიხმარა პირველად ნარკოტიკული საშუალება. 23,2%-ის (n=260) განცხადებით, მართო იმყოფებოდა, როცა პირველად მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. 10,5%-ის (n=118) განცხადებით, უბნელთან/მეზობელთან ერთად გასინჯა, 9,7% (n=109) ამბობს,

რომ უცნობ ადამიანთან ერთად იყო, 1,7% (n=5) კი ოჯახის წევრთან ან ნათესავთან ერთად იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარებისას.


პირი, ვისთან ერთადაც მოიხმარეს პირველად ნარკოტიკული საშუალება



გ) ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების გადაწყვეტილება

გამოკითხულთა უმრავლესობა (59,3%, n=658) ამბობს, რომ თავად გადაწყვიტა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება. რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილის (23,4%, n=257) თქმით, მეგობარმა წახალისა გადაწყვეტილების მიღებისას. მცირე პროცენტული წილი აქვს უცნობ ადამიანს (8,1%, n=90), მეზობელს/უბნელს (7,8%, n=87), ოჯახის წევრს/ნათესავს (1%, n=11), ინტერნეტს/ტელევიზიას (0,4%, n=4). მეგობრის მიერ წახალისებულ პირთა 71,2%-ს პირველად მოხმარებული აქვს მარიხუანა, 24,2%-ს - ოპიუმი და 17,5%-ს - ჰეროინი.

ვინ წაახალისა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს




დ) საქმიანობა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს

რესპონდენტთა 31,3%-მა (n=361) აღნიშნა, რომ ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს არც მუშაობდა და არც სწავლობდა. ბევრი თავისუფალი დროის ქონა შესაძლოა ერთ-ერთ რისკ-ფაქტორად იქნეს მიჩნეული ნარკოტიკული საშუალებით დაინტერესებისას. 28% (n=323) ამბობს, რომ სწავლობდა სკოლაში, რაც საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელია. ასევე, გათვალისწინებით იმისა, რომ რესპონდენტთა 34,4%-მა ნარკოტიკული საშუალება პირველად მოიხმარა 10-17 წლის ასაკში, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მოსწავლეები, არასრულწლოვნები ერთ-ერთ რისკ-ჯგუფს განეკუთვნებიან.

პრობაციონერთა 20,3% (n=235) აღნიშნავს, რომ მუშაობდა, ხოლო 17,6%-ის (n=203) განცხადებით სწავლობდა უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში ნარკოტიკული

საშუალების პირველად მოხმარების დროს. რესპონდენტთა მცირე ნაწილი - 2,9% (n=33) ამბობს, რომ მუშაობდა და სწავლობდა.

რესპონდენტთა საქმიანობა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს




ე) შემოსავალი ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს

რესპონდენტთა უმრავლესობის (66,2%, n=750) განცხადებით არ ჰქონდა შემოსავალი ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს. მხოლოდ მცირე რაოდენობა ამბობს, რომ ჰქონდა შემოსავალი ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარებისას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შემოსავლის არმქონე რესპონდენტთა


21.2%-ის განცხადებით, გადაიხადა თანხა პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებაში, ხოლო 78,8%-ს არ გადაუხდია.

რესპონდენტთა შემოსავალი ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს




შემოსავლის არმქონე რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათ მიერ პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება არის მარიხუანა (77.6%, n=580). ამავე კატეგორიის რესპონდენტთა 10,6%-მა (n=79) პირველად ოპიუმი გასინჯა, 4,4%-მა (n=33) კი - ჰეროინი. მცირე პროცენტული განაწილებით გვხვდება სხვა ნარკოტიკული საშუალება.

შემოსავლის არმქონე პირთა მიერ პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება



კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ შემოსავლის ყველა კატეგორიაში პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებად ჭარბობს მარიხუანა. თუმცა, შემოსავლის ზრდასთან ერთად მარიხუანას პირველ ნარკოტიკულ საშუალებად მოხმარების კლების ტენდენცია შეინიშნება. საინტერესოა ჰეროინის მოხმარების შემთხვევა. იმ რესპონდენტთა 21,3%-მა (n=17), რომელთა შემოსავალი ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს 1000 ლარზე მეტი იყო, პირველად ჰეროინი მოიხმარა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რამდენიმე რესპონდენტმა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების მოტივად ბევრი ფული და მაღალი შემოსავალი დაასახელა.

პირველად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება შემოსავლის მიხედვით




ვ) ოჯახური მდგომარეობა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს

სხვადასხვა კვლევით დასტურდება, რომ ოჯახური მდგომარეობა ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია კანონსაწინააღმდეგო ქცევის დროს. გამოცდილება აჩვენებს, რომ ხშირად ოჯახის წევრის ნარკოტიკულ საშუალებაზე დამოკიდებულება ხელშემწყობია იმისა, რომ ოჯახის სხვა წევრმაც მოიხმაროს ნარკოტიკული საშუალება. სოციალური გარემო, სადაც პირი ცხოვრობს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასზე, გადაწყვეტს თუ არა იგი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას.

რესპონდენტთა უმრავლესობის განცხადებით, არ იყო დაოჯახებული ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს (73,8%, n=556). რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი (25,8%, n=194) იყო დაქორწინებული².

ქორწინებაში ყოფნის ფაქტი ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს /18-56 წელი/




რესპონდენტთა 82,4% (n=954) ამბობს, რომ ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს. ასევე, უმრავლესობა (74,1%, n=859) ამბობს, რომ პირველად მოხმარების დროს ჰყავდა ორივე მშობელი და ისინი ცხოვრობდნენ ერთად. რესპონდენტთა 86,6%-ის განცხადებით, არც ერთი მშობელი არ იმყოფებოდა საზღვარგარეთ, როცა პირველად გადაწყვიტეს ნარკოტიკული საშუალების მოხმარება. რესპონდენტთა 98% ამბობს, რომ მისი არც ერთი მშობელი არ იმყოფებოდა ციხეში. 97,5%-ის განცხადებით მისი არც ერთი მშობელი არ იყო ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი.

რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ მაშინ, როცა პირველად მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება მისი ორივე (52,1%) ან ერთ-ერთი მშობელი (37,2%) იყო


² მაჩვენებელი გამოთვლილია იმ რესპონდენტთა რაოდენობიდან, რომლებიც ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს იყვნენ სრულწლოვნები (18-56 წელი)

დასაქმებული. მხოლოდ 10,7% ამბობს, რომ მისი არც ერთი მშობელი არ იყო დასაქმებული ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს.

ვისთან ერთად ცხოვრობდა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს




მშობლების ყოლის ფაქტი ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს



ზ) თავისუფალი დროის მართვა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს

ნარკოტიკული საშუალებით დაინტერესების თავიდან აცილების გზად ხშირად მიჩნეულია მოზარდის ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში, მაგალითად, სპორტით ან ხელოვნების რომელიმე დარგით დაკავება. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი - 48,4% (n=561) დაკავებული იყო სპორტით, როდესაც პირველად მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 12,3% (n=142) დაკავებული იყო ხელოვნებით. გამოკითხულთა 15,6% დაკავებული იყო ერთდროულად სპორტით და ხელოვნებით. გამოკითხულთა 39,3% არ იყო დაკავებული არც სპორტით და არც ხელოვნებით.

სპორტითა და ხელოვნებით დაკავების ფაქტი ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს




თ) ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ხელშემწყობი ფაქტორები

მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც, რესპონდენტთა აზრით, ხელს უწყობს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას. კვლევის შედეგების მიხედვით, პირველ ფაქტორად დასახელდა ბევრი თავისუფალი დროის ქონა, უმუშევრობა (28,9%, n=650), მეორე ფაქტორად დასახელდა სოციალური გარემო, ოჯახი და სამეგობრო წრე (19,4%, n=437). ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორები აღმოჩნდა ნარკოტიკულ საშუალებაზე მარტივი ხელმისაწვდომობა (14,3%, n=321), ფინანსური და სოციალური პრობლემების ქონა (12,6%, n=283), წამალდამოკიდებულების შესახებ ინფორმაციის დაბალი დონე (11,7%, n=264) და საკანონმდებლო რეგულაციები წამალდამოკიდებულებასთან მიმართებით (9,9%)³. ფაქტორთა შორის, ასევე, დასახელდა ცნობისმოყვარეობა, პირადი ინტერესი,

³ რესპონდენტთა ნაწილის განცხადებით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას ხელს უწყობს ლიბერალური საკანონმდებლო რეგულაციები, ხოლო ნაწილის განცხადებით პირიქით, ხელს უწყობს ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო აკრძალვები.

დეპრესია, დიდი შემოსავალი, ქართული მენტალიტეტი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

წამლადამოკიდებულების ხელშემწყობი ფაქტორები




VII. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შედეგები

რესპონდენტთა 66,4% (n=767) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებამ უარყოფითი გავლენა იქონია მეგობრებთან მის ურთიერთობაზე. აღნიშნულ მოსაზრებას რესპონდენტთა მხოლოდ 25,6% (n=296) ეთანხმება. რესპონდენტთა 54,1%-ის (n=624) განცხადებით, ნარკოტიკული


საშუალების მოხმარებამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია მის პირად ცხოვრებაზე. ასევე, რესპონდენტთა 49,6% (n=573) მიიჩნევს, რომ მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას უარყოფითი ეფექტი ჰქონდა ოჯახის წევრებთან მის ურთიერთობაზე.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შედეგები



რესპონდენტთა 58,1%-ის (n=672) განცხადებით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებამ უარყოფითი გავლენა იქონია მის კარიერაზე, თუმცა, რესპონდენტთა 61% (n=704) აცხადებს, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას უარყოფითად არ უმოქმედია მის განათლებაზე. ასევე, 48,1% (n=556) ამბობს, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შედეგები



VIII. კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობამ პირველად ნარკოტიკული საშუალება 10-24 წლის ასაკში მოიხმარა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებულ რისკ-ჯგუფს წარმოადგენენ ახალგაზრდები. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თბილისში, რეგიონებთან შედარებით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ტენდენცია უფრო დაბალი ასაკიდან შეინიშნება.

პრობაციონერთა 72,3%-მა აღნიშნა, რომ პირველ ნარკოტიკულ საშუალებად მარიხუანა მოიხმარა, თუმცა დიდია, ასევე, იმ რესპონდენტთა რაოდენობა,

რომელთაც პირველ ნარკოტიკულ საშუალებად ოპიუმი და ჰეროინი დაასახელეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მარიხუანას პირველ ნარკოტიკულ საშუალებად მოხმარების ტენდენცია რეგიონებში უფრო მეტად არის გავრცელებული, ვიდრე თბილისში. მძიმე ნარკოტიკული საშუალება უფრო ხშირად თბილისში იქნა მოხმარებული, ვიდრე რეგიონებში.

იმ რესპონდენტთა 56,6%, ვინც მარიხუანა მოიხმარა, ამბობს, რომ შემდეგ გასინჯა უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალება, ხოლო 43,4% აცხადებს, რომ არ მიუღია სხვა ნარკოტიკული საშუალება და მოიხმარა მხოლოდ მარიხუანა.

გამოკითხულ პრობაციონერთა 48,2% აცხადებს, რომ იყო დამოკიდებული ნარკოტიკულ საშუალებაზე. იმ რესპონდენტთა 25,1%, რომელიც ამბობს, რომ დამოკიდებული იყო ნარკოტიკულ საშუალებაზე, აღნიშნავს, რომ დამოკიდებული იყო ჰეროინზე, 23,2% დამოკიდებული იყო ოპიუმზე, 19,8% - მარიხუანაზე, 11,1% კი სუბუტექსზე.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისას მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა სამეგობრო წრე. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ პირველად ნარკოტიკული საშუალება მეგობართან ერთად გასინჯა. გამოკითხულთაგან ყოველი მეხუთე კი აცხადებს, რომ მეგობარმა წაახალისა ამ გადაწყვეტილების პირველად მიღებისას. ეს ფაქტი ხაზს უსვამს სამეგობრო წრის მნიშვნელობას ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბევრი თავისუფალი დროის ქონა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისას. რესპონდენტთა უმრავლესობის განცხადებით არც სწავლობდა და არც მუშაობდა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულთა 60%-ის განცხადებით, არ ჰქონდა შემოსავალი, როცა პირველად

გასინჯა ნარკოტიკული საშუალება. ასეთ რესპონდენტთა უმრავლესობამ პირველად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებად მარიხუანა, ოპიუმი და ჰეროინი დაასახელა.

კვლევის შედეგების მიხედვით, ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების მოტივი ცნობისმოყვარეობა და გართობა იყო. საინტერესოა პირველად მოხმარების მოტივის გაანალიზება პირველად მოხმარების ასაკთან მიმართებით. როგორც ჩანს, ვინც პირველად ნარკოტიკული საშუალება 10-17, 18-24 და 25-34 წლის ასაკში მოიხმარა, მათი მოტივაცია ამ შემთხვევაში ცნობისმოყვარეობა, გართობა, ავტორიტეტული თანატოლების ან უფროსების მიბაძვა მეტად იყო, ვიდრე სხვა მოტივები. ასაკობრივი კატეგორიის ზრდასთან ერთად, ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების მოტივად დასახელდა დეპრესიის დაძლევა, უარყოფითი განცდების განეიტრალება, ცხოვრების დამაბული რიტმი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

პრობაციონერთა უმრავლესობის განცხადებით, ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარებისას ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარება საზიანოა ჯანმრთელობისთვის, იწვევს მიჩვევას და მისი მოხმარება ისჯება კანონით, თუმცა, მაღალია ასევე იმ რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ამბობენ, რომ არ ჰქონდათ ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

კვლევამ ცხადყო, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებამ უარყოფითი გავლენა იქონია ოჯახის წევრებთან ურთიერთობაზე, პირად ცხოვრებაზე, კარიერაზე და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

IX. პრევენციული ღონისძიებები

ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების მოტივად ცნობისმოყვარეობა დაასახელა, მიუთითებს ინფორმაციის ნაკლებობასა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე.

კვლევის შედეგები ცხადყოფს სხვადასხვა ტიპის აქტივობის განხორციელების აუცილებლობას ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევ მიზეზებთან საბრძოლველად. ვინაიდან განსაკუთრებულ რისკ-ჯგუფს ახალგაზრდები წარმოადგენენ, მნიშვნელოვანია პრევენციული ხასიათის ღონისძიებების დაგეგმა სკოლის მოსწავლეებთან და ახალგაზრდებთან. მნიშვნელოვანია ოჯახისა და სკოლის ინსტიტუტების ჩართვა პრევენციის პროცესში.

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პრევენციული ხასიათის აქტივობების განხორციელებას. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების პრობლემას აქტიურად ებრძვიან მთელ მსოფლიოში. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე პრევენციული ღონისძიება, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებშია აპრობირებული:

Al's Pals (აშშ) - ბავშვთა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს სოციალური, პერსონალური და ემოციური უნარების განვითარებას 3-დან 8 წლამდე ასაკის ბავშვებში. 46 ინტერაქტიული გაკვეთილის გამოყენებით ბავშვები სწავლობენ საკუთარი გრძნობების სათანადოდ გამოხატვას, სხვებზე ზრუნვას, თვითკონტროლს, დამოუკიდებლად აზროვნებას, პრობლემების მშვიდობიანად გადაჭრას,

ტოლერანტობას და ასევე, იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რა ზიანი მოაქვს თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას (აშშ).

ATLAS (Athletes Training and Learning to Avoid Steroids) (აშშ) - მულტიკომპონენტური პროგრამა მოსწავლე ათლეტებისთვის და სპორტული სკოლებისთვის (13-19 წლის მოზარდებისთვის). იგი იყენებს პოზიტიური ზეწოლის მეთოდს და მოზარდებს აცნობს ინფორმაციას ალკოჰოლისა და სხვა სტეროიდების შესახებ. 10 საგანმანათლებლო სესია, რომელიც განკუთვნილია სკოლების სპორტული გუნდებისთვის, ტარდება შესაბამისი მწვრთნელების ზედამხედველობით.

Incredible Years (აშშ) - პროგრამა განკუთვნილია მასწავლებლების, მშობლებისა და 3-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. პროგრამა პრობლემის გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების, აგრესიის მენეჯმენტისა და მოლაპარაკების მეთოდების შესწავლით აძლიერებს ბავშვის სოციალურ, ემოციურ და აკადემიურ კომპეტენციებს. მასწავლებლების დატრენინგება აძლიერებს კლასის მენეჯმენტს, ბავშვების სწავლისკენ წახალისებისა და აგრესიის შემცირების უნარებს. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი რომელიმე ბავშვს შეამჩნევს სისტემატიურ და განსაკუთრებით აგრესიულ ქცევას, იგი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკავშირდება მშობელს და შესაბამისი სპეციალისტის მეშვეობით, მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი ერთვებიან პროგრამაში.

Too Smart to Start (<http://www.toosmarttostart.samhsa.gov/Start.aspx>) (აშშ) - ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მავნებლობის ამსახველი თამაშები და ატვირთულია არასრულწლოვანთა მიერ შექმნილი ვიდეოები. საიტზე შესაძლებელია სადისკუსიო ფორუმის შექმნაც, რომლის საშუალებით სკოლის მოსწავლეები შეძლებენ გამართონ დისკუსიები ნარკოტიკული საშუალების მოხმარების თემაზე. ასევე, საიტზე არსებობს განყოფილება, სადაც

მოზარდები საკუთარ ისტორიას აცნობენ სხვა მოზარდებს, თუ როგორ აისახა მათ ცხოვრებაზე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება.

Drugs: True Stories (აშშ) - 30 წუთიანი ვიდეოები, რომლებიც წამალდამოკიდებული ადამიანების ცხოვრებას ასახავს. კერძოდ, ყოფილი წამალდამოკიდებული არასრულწლოვნები ყვებიან საკუთარ ისტორიებს. ამგვარი თხრობის დროს ყურადღება გამახვილებულია იმ მავნე შედეგებზე, რაც ნარკოტიკების მოხმარებას მოაქვს. ასევე, აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ დაეხმარა ოჯახი კონკრეტულ პირს წამალდამოკიდებულების დაძლევაში. ვიდეოების შინაარსი ფარავს შემდეგ საკითხებს: ნარკოტიკულ საშუალებასთან ექსპერიმენტის („ერთხელ ვცდი, არაფერი მოხდება“ მიდგომა) მავნებლობა, წამალდამოკიდებულთა მიერ საკუთარი მდგომარეობის გაუცნობიერებლობა („ნარკომანი არ ვარ, როცა მინდა თავს მაშინ დავანებებ“ მიდგომა), ეტაპი, როდესაც წამალდამოკიდებული უკვე აცნობიერებს თავის პრობლემას, გამოჯანმრთელების პროცესი და მასთან დაკავშირებული სირთულეები და ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისგან თავის შეკავების დადებითი მხარეები. ვიდეოს მოყვება სადისკუსიო მასალა, რომელიც კლასში მისი ჩვენების შემდეგ მოსწავლეთა მსჯელობასა და აზრთა გაცვლას ახალისებს.

Good Behavior Game (GBG) (აშშ) - თამაში, სადაც მასწავლებელი კლასს ჰყოფს ათმოსწავლიან ჯგუფებად იმგვარად, რომ თითოეულ მათგანში აღმოჩნდნენ ანტისოციალური ქცევისადმი მიდრეკილი, ასევე, მორიდებული და კარგი დისციპლინით გამორჩეული მოსწავლეები. შემდეგ ტარდება სპეციალური სემინარები, რომლის ფარგლებში მასწავლებელი/ტრენერი (მაგ.: საზოგადოებრივი პროკურატურის წარმომადგენელი) მოახდენს ანტისოციალური ქცევის პროვოცირებას. კერძოდ, შესაძლებელია ტრენერმა ითამაშოს ნარკოტიკებით მოვაჭრის როლი და შეეცადოს, ჯგუფის წევრები დაარწმუნოს ნარკოტიკების მოხმარებაში. ის ჯგუფი, რომლის წევრებიც ყველაზე უკეთ გაართმევენ თავს

პროვოკაციული სიტუაციის თავის არიდებას, ჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით.

Be Under Your Own Influence/იყავი საკუთარი გავლენის ქვეშ (აშშ) - არის ფართომასშტაბიანი კამპანია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელდა. პროექტი გაგრძელდა ორი წლის განმავლობაში და მასში 4 216 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას. მონაწილეები პერიოდულად ავსებდნენ კითხვარს, რომელიც ზომავდა მათ მიერ ალკოჰოლის, სიგარეტისა და მარიხუანას გამოყენების დონეს. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პროგრამის შედეგად განახევრდა იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც მოიხმარდნენ მარიხუანასა და ალკოჰოლს. პროგრამა მოიცავდა ბეჭდვით მასალებს (პლაკატები) და სარეკლამო ელემენტებს (წიგნების ყდები, მაისურები, წყლის ბოთლები და სხვა). ამ პროგრამის წარმატება განაპირობა იდეამ, რომელიც მოუწოდებდა მოზარდებს ყოფილიყვნენ დამოუკიდებლები და საკუთარი თავი ჰყოლოდათ კონტროლის ქვეშ. როგორც აღმოჩნდა, კვლევაში ჩართულ პირებზე მედია პროგრამებმა მეტად იქონია გავლენა, ვიდრე სასწავლო გეგმამ.

Multidimensional Treatment Foster Care (MTFC) (აშშ) - პროგრამა განკუთვნილია მინდობითი აღზრდის პროგრამაში ჩართული მოზარდი გოგონებისთვის. პროგრამა უზრუნველყოფს გოგონათა ინტენსიურ ზედამხედველობას და ხელმძღვანელობას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გოგონები სწავლობენ საკუთარი ემოციების მართვას და უარის თქმის უნარს, რათა თავიდან აიცილონ ისეთი ქმედებები, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება და სარისკო სქესობრივი აქტივობა.

Narconon Drug Prevention Program (აშშ) - ნარკონონის წამალდამოკიდებულების პრევენციის პროგრამა ემსახურება ნარკოტიკული საშუალების მოხმარების პრევენციასა და ნარკოტიკული საშუალების შესახებ განათლების მიწოდებას.

ნარკონონის ცენტრები და ჯგუფები ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებას წამალდამოკიდებულების პრევენციის მიმართულებით მსოფლიოს მასშტაბით. პროგრამის ფარგლებში არსებობს სპეციალური სატრენინგო პროგრამები (კომუნიკაციასა და სხვა უნარ-ჩვევებზე) იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც შედიან მაღალი რისკის მქონე ჯგუფებში. ასევე, ნარკონონის პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია Peer Leader ტრენინგები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალკლასელებისთვის ისეთი უნარების შეძენას, რაც საჭიროა მათი თანატოლების დახმარებისა და წამალდამოკიდებულების პრევენციის თვალსაზრისით რეკომენდაციების გაწევისთვის. ნარკონონის პრევენტაციები რეალურია და ასახავს იმას, რასაც მოზარდები რეალურად აკეთებენ. გარდა ამისა, წამალდამოკიდებულების პრევენციის და განათლების სასწავლო პროგრამის აუდიო-ვიზუალური ფორმატი შესაძლებლობას იძლევა ხელმისაწვდომი გახდეს ნარკონონის პროგრამა ყველა სკოლისთვის, მიუხედავად ადგილმდებარეობისა.

აღნიშნული პროგრამის შედეგად სტუდენტები იღებენ შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ✓ როგორ მოქმედებს ნარკოტიკული საშუალება და ალკოჰოლი მათ გონებასა და ორგანიზმზე;
- ✓ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შედეგად გამოწვეული ხანგრძლივი ზემოქმედება;
- ✓ როგორ გადადის ნარკოტიკული საშუალების მოხმარება დამოკიდებულებაში;
- ✓ რა ხდება, როდესაც ადამიანი იძენს დამოკიდებულებას;
- ✓ როგორ მოქმედებს ემოციები ადამიანის ნებაზე მოიხმაროს ნარკოტიკული საშუალება;
- ✓ როგორ მოქმედებს ალკოჰოლი და ნარკოტიკული საშუალება ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე;

- ✓ რა ზიანის მოტანა შეუძლია ისეთ ხელმისაწვდომ ნარკოტიკულ საშუალებას, როგორცაა LSD, მარიხუანა, ექსტაზი, თამბაქო, მეტამფეტამინი და ალკოჰოლი;
- ✓ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დაწყებისას რა გავლენა შეიძლება ჰქონდეთ თანატოლებს;
- ✓ როგორ თქვა უარი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე.

Healthy School and Drugs - prevention programme on adolescents (ჰოლანდია) - პრევენციული პროგრამა: „ჯანსაღი სკოლა და ნარკოტიკული საშუალება“ განკუთვნილია მოზარდებისათვის, რომლებიც არიან ალკოჰოლის, თამბაქოს და მარიხუანას გამოყენების საფრთხის წინაშე. აღნიშნული პროგრამა არის სამწლიანი, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 13-19 წლის მოზარდები. პროგრამა შედგება ელექტრონული სწავლების მოდულისგან, რომელთაგან 4 გაკვეთილი ეთმობა ალკოჰოლს, 3 - თამბაქოს და 3 - მარიხუანას. ამ გაკვეთილების მიზანია გააღრმავოს ცოდნა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ. ასევე, პროგრამა მოიცავს მოზარდებისთვის უარის თქმის უნარის სწავლებას, რაც აუცილებელია, რათა ახალგაზრდა გაუმკლავდეს და თავიდან აირიდოს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ზეწოლა. გაკვეთილების დროს წარმოდგენილია მოკლემეტრაჟიანი ფილმები, ანიმაციები, ინტერაქტიული ამოცანები და იმართება თანატოლებს შორის დისკუსიები. აღნიშნული პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს მშობლების ჩართულობას და მონაწილეობას.

კვლევის ანგარიში მოამზადა საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მრჩეველმა, სოციოლოგმა სალომე დოლიძემ